

ბვერდი – „ღამატებით ღვთისმსახურთათვის“ მიჰყავს
ფილოლოგიისა და თეოლოგიის დოქტორს, პროფესორს, ბელათის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს
დეკანოზ ბიძინა ბუნისას

- ა) ინფორმაცია ლიტურგიკულ საკითხებზე შეგიძლიათ მოიძიოთ საპატრიარქოს განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე – „ცნობარი მედავითნეებისთვის“ <http://venakhi.ge/medavitne.html>
- ბ) კითხვები თქვენთვის საინტერესო ლიტურგიკულ საკითხებზე გამოგზავნეთ ელ-ფოსტაზე: davati@venakhi.ge ან svetitskhoveli@gmail.com
- გ) ინფორმაცია და პასუხები გარდა ზემოაღნიშნული ვებ-გვერდისა, იხილეთ აგრეთვე „ფეისბუქზე“ - მამა ბიძინა ბუნია.
- შენიშვნა: იხ. „საპატრიარქოს უწყებანი“ –
№36 (695) 31.10-6.11.2013წ. გვ. 4 და №37 (696) 7-13-11.2013წ. გვ. 5.

იულიუსის კალენდართან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხები:

1. რატომ უჭირთ საეკლესიო კალენდრის რეფორმის მომხრეთა უდიდეს უმრავლესობას ეკლესიის პოზიციის გაზიარება?

დღემდე არსებულ კალენდარულ სისტემებს შორის მართლმადიდებლური ეკლესიის კალენდარი – „იულიუსის კალენდარი“ სარწმუნოების, მისტიკური ხედვისა და მეცნიერული აზრის ურთიერთშეთანხმების ბწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. ამასთან, არის რა საეკლესიო ცხოვრების მარეგულირებელი, იგი უნიკალურია როგორც მათემატიკური, ისე ასტრონომიული თვალსაზრისითაც.

მიუხედავად ასეთი დიდი ღირსებებისა, რიგ შემთხვევებში, მისი არსის არასწორად წარმოჩენის გამო კალენდრის რეფორმის მომხრენი მას ნაკლებად ზუსტ კალენდარულ სისტემად მოიხსენიებენ, რაც არასწორი და არამეცნიერულია.

ორ ათეულ წელზე მეტია გაისმის მოწოდებები იულიუსის კალენდრის რეფორმის აუცილებლობის შესახებ, რის დროსაც სხვადასხვა მცდარ არგუმენტებს იშველიებენ და, რაც მთავარია, ანგარიშს არ უწყვენ მორწმუნე, მართლმადიდებელი ადამიანის შეხედულებებსა და პოზიციას.

კალენდრის რეფორმის აუცილებლობაზე საუბრისას, არც თუ იშვიათად, მსჯელობას თვითდაჯერებული პოზიციიდან წარმართავენ და ასეთ რიტორიკულ შეკითხვებს სვამენ:

– „რა არის ამის მიზეზი და რა არგუმენტები აქვთ მათ, ვინც საეკლესიო კალენდრის რეფორმას ეწინააღმდეგება?“

– „რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს მართლ-მადიდებელი ეკლესიისთვის იულიანური კალენდრის შენარჩუნებას?“ (ინტერაქტივი 2011).

გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ შეკითხვებს წინ არ უძღვის რაიმე სერიოზული ანალიზი და არგუმენტები საკუთარი პოზიციის წარმოსაჩენად, არამედ უაპელაციოდ ისმება კითხვები, რაც მიგვანიშნებს, ერთის მხრივ, მათ გამოუცდელობაზე მეცნიერული კუთხით დისკუსიის წარმართვისა, და მეორეს მხრივ კი – საეკლესიო კალენდრის საკითხებში გაუცნობიერებლობაზე.

ამგვარად, საეკლესიო კალენდრის რეფორმის მომხრეთა უდიდეს უმრავლესობას იმიტომ უჭირს ეკლესიის პოზიციის გაზიარება, რომ:

1. არა აქვთ სიღრმისეული წვდომა დასმული საკითხისადმი;
2. მნიშვნელოვნად არ მიიჩნევენ სჯულის კანონისა და წმიდა მამების შეგონებებს კალენდარულ საკითხებთან დაკავშირებით;
3. ნაკლებად ერკვევიან კალენდართან დაკავშირებულ მათემატიკურ თუ ასტრონომიულ გამოთვლებში;
4. მიწიერი საზომით ჭვრეტენ უდიდესი დღესასწაულების მნიშვნელობას; და მრავალი სხვა.

აქ საჭიროდ მივიჩნევთ უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ერთ-ერთი შეგონების მოხმობას: „მოეუწოდებთ ჩვენს ახალგაზრდებს ანალიტიკური, ფილოსოფიური, დრმა აზროვნებისაკენ. ... დრმა ანალიზისა და ძიების სურვილი კი ღმერთის შეცნობის დიდ შესაძლებლობას იძლევა. მაშ, „ეძიებდით და ჰპოვოთ, ირეკდით და განგედოთ თქვენ“ (ეპისტოლენი 2008: 168);

2. საეკლესიო კალენდართან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობისას, გარდა მათემატიკის, ფიზიკისა თუ ასტრონომიისა რისი გათვალისწინებაა აუცილებელი?

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სატელევიზიო „დებატებში“, „ინტერაქტივებსა“ თუ საგაზეთო პუბლიკაციებში, რომლებშიც კალენდრის რეფორმის აუცილებლობაზე კეთდება აქცენტი, ჭეშმარიტ რწმენას მოკლებული რაციონალიზმი დომინირებს. შედეგად, გაუთვალისწინებელი რჩება თეოლოგიური ასპექტები.

ამგვარად, მეცნიერული აზრისა და მისი მეთოდების გათვალისწინება სამყაროს შემეცნების პროცესში უადრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ რწმენის ფაქტორის, საეკლესიო სწავლების იგნორირება, არამართებულ დასკვნებამდე მიგვიყვანს.

ასე მაგალითად: ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლა.

I. ლუკას სახარებაში ვკითხულობთ: „და ყოველმან რომელმან თქუას სიტყვაჲ ძისა მიმართ კაცისა, მიეტოს მას, ხოლო სულისა წმიდისა მგმობელსა არა მიეტოს“ (ლკ. XII, 10). იგივე სწავლებაა მოხმობილი მათესა (მთ. XII, 31,32) და მარკოს (მკ. III, 28,29) მახარებელთა სახარებებშიც.

ეკლესიის მამათა განმარტებით, სულიწმიდის გმობა ორი ნიშნით ხასიათდება და ნიშნავს:

პირველი – ღვთაებრივ საქმეთა (რომელთა აღსრულებაც მხოლოდ ღმერთს ხელეწიფება), აშკარა ჭეშმარიტებათა უარყოფას და

მეორე – განხორციელებით ამ საქმეთა შეურაცხყოფას, მათ აღმსრულებლად ბელზებულის (დემონის) მიჩნევას (ოქროპირი 2000: 441).

მავანთა მიერ სწორედ მსგავს დამოკიდებულებას აქვს ადგილი მაცხოვრის საფლავზე დიდ შაბათს ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლასთან დაკავშირებით. საგაზეთო სტატიაში – „საადღვომო ცეცხლი, თუ მტრობის ხანძარი“, ვკითხულობთ: „რაც არავის უხილავს, რამდენად უაზრობაა იმ ცეცხლზე საუბარი, რომელიც ყველაზე წმიდათა წმიდა ღამეს აღინთება ადამიანის ჩაურევლად უფლის სამარხზე, და ისიც მხოლოდ და მხოლოდ იერუსალიმის მართლმადიდებელი პატრიარქის ხელში. რამდენად უაზრობაა, ასე დაამდაბლო ეს ძლიერი და ღიადი საიდუმლო, უფლის აღდგომა!“ („საბა“ 2001: 7).

ვფიქრობთ, აქ კომენტარი ზედმეტია, ხოლო ამ საკითხზე სამოდვროდ უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის 2005 წლის „საშობაო ეპისტოლე“-ს მიემართავთ: – „...არის რამდენიმე ისეთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რაც, ვფიქრობთ,

ყველასათვის მრავლისმთქმელია: ა) ყოველ წელს იერუსალიმში ძველი სტილით აღდგომის წინაღვს, მაცხოვრის საფლავზე მხოლოდ მართლმადიდებელი პატრიარქის ღოცვით ზეციდან გადმოდის ღვთაებრივი ცეცხლი, რაც ნათელი დადასტურებაა როგორც იულიუსის კალენდრის, ისე მართლმადიდებლური სწავლების ჭეშმარიტებისა“ (ეპისტოლენი 2008: 178).

ყოველივე ზემოთქმულს მხოლოდ იმას დავკენთ, რომ მაცხოვრის საფლავზე დიდ შაბათს ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლას ყოველწლიურად ათასობით ადამიანი ესწრება და უდიდესი სიხარულით ეგებება მას, ხოლო მავანთა მიერ ამ მოვლენის ეჭვის ჭეშმ დაყენება და სკეპტიკური მოსაზრებების მოურიდელებელი გამოთქმა, აშკარად შეურაცხყოფს ჭეშმარიტ მორწმუნეთა რელიგიურ გრძნობებს. ამდენად, ჩვენთვის სრულიად მიუღებელია მსგავსი სკეპტიკური მოსაზრებების მქონე პირთა „მოწოდებები“ გრიგოლის კალენდარზე გადასვლასთან დაკავშირებით.

3. რას გვეტყობით სჯულის კანონზე კალენდარულ საკითხებთან დაკავშირებით?

გრიგოლის კალენდრით აღდგომის დღესასწაული ხშირად იუდეველთა პასექთან ერთად ან მასზე ადრე აღინიშნება, რაც სჯულის კანონის უხეში დარღვევა გახლავთ.

ირღვევა: 1. წმიდა მოციქულთა VII კანონი; 2. პირველი მსოფლიო კრების გადაწყვეტილებები; 3. ანტიოქიის ადგილობრივი საეკლესიო კრების I კანონი.

წმიდა მოციქულთა VII კანონით, ეკლესიისაგან განიკვეთებიან ისინი, ვინც იუდეველებთან ერთად ან მათზე ადრე აღნიშნავს ამ ბრწყინვალე დღესასწაულს. ასევე ანტიოქიის საეკლესიო კრების I კანონიც ამისთვის ერისკაცთ უზიარებლობით სჯის, ხოლო მღვდელმსახურთ კი განკვეთს.

I მსოფლიო კრებაზე ნიკეაში, 325 წელს, პასექის – აღდგომის დღის აღნიშვნის საკითხიც იქნა განხილული და დადგენილი, რომ იგი ყველა ქრისტიანის მიერ ერთად და თანხმიერად უნდა აღინიშნოს. 1582 წელს კათოლიკურმა სამყარომ კალენდარული რეფორმა გაატარა და გრიგორიანული კალენდარი მიიღო, რის შემდეგაც აღდგომის დღესასწაულს (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ქრისტიანულ სამყაროში სხვადასხვა დროს აღნიშნავენ. ეს, რა თქმა უნდა, პირველი მსოფლიო კრების გადაწყვეტილების დარღვევაა.

პირველ მსოფლიო კრებასთან დაკავშირებით (პასექის აღნიშვნასთან მიმართებაში) ჩვენთვის საყურადღებო წმიდა მეფის კონსტანტინე დიდის ეპისტოლე გახლავთ, რომელიც მან 325 წელს ნიკეადან გაუგზავნა ყველა იმ ეპისკოპოსს, რომლებიც აღნიშნულ წმიდა კრებას არ ესწრებოდნენ. მისი ეპისტოლეს მხოლოდ ერთ ფრაგმენტს გავიხსენებთ, რომელიც პასექის დღესასწაულს ეხება:

– „დაე თქვენმა კეთილგონიერებამ განსაჯოს, თუ რამდენად არასაკებარია და საძრახისი, რათა ერთსა და იმავე დღეებში ერთნი მარხულობდნენ და სხვანი კი იხსნილებდნენ, და აღდგომის დღის შემდეგ კი პირველნი ზეიმობდნენ და იშვებდნენ, მეორენი კი მარხულობდნენ“ (კრებები 1996: 81).

არაერთი ისეთი თარიღის დასახელება შეიძლება, როცა კათოლიკურმა სამყარომ მაცხოვრის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული იუდეველებთან ერთად ან მათზე ადრე იღვსასწაულა, რაც სჯულის კანონის უხეში დარღვევა გახლავთ!

ასე მაგალითად. მართლმადიდებლურმა ქრისტიანულმა ეკლესიამ 2005 წელს პასექის დღესასწაული ძველი სტილით 18 აპრილს, ახალი სტილით კი 1 მაისს იზეიმა, ხოლო კათოლიკებმა კი ძველი სტილით 14 მარტს ანუ ახ. სტ-ით 27 მარტს, რაც იულიუსის კალენდრით დიდი მარხვის II

კვირას დაემთხვა. აქ ის მომენტია საგულისხმო, რომ იუდეველთა პასექი 2005 წელს ვნების შვიდეულში აღინიშნა, ანუ ფაქტიურად კათოლიკებმა თავისი პასექი იუდეველთა პასექზე ადრე აღნიშნეს.

ამდენად, როგორც ჩანს, გრიგორის კალენდრის მიმდევრები არად აგდებენ საეკლესიო კანონიკური ხასიათის დადგენილებებს პასექის დღესთან დაკავშირებით (ვგულისხმობთ წმიდა მოციქულთა, I მსოფლიო კრებისა და ანტიოქიის ადგილობრივი კრების განჩინებებს), რის გამოც დავძენთ, რომ მათ ხელმყოფთ უმკაცრეს სასჯელს განუკუთვნებს: 1. ქალკედონის IV მსოფლიო კრების I კანონი; 2. (კონსტანტინოპოლის, 691 წ.) – ე.წ. ტრულის კრების II კანონი; 3. VII მსოფლიო კრების I კანონი; 4. დანგრის ადგილობრივი საეკლესიო კრების 21-ე კანონი.

ამგვარად, მოწოდებებს გრიგოლის კალენდარზე გადასვლასთან დაკავშირებით, რაც რიგ შემთხვევებში სჯულის კანონის დარღვევის ფაქტის წინაშე დააყენებს მართლმადიდებლურ ეკლესიას, რბილად რომ ვთქვათ, ვერ დავეთანხმებით.

4. წმიდა მამათა სწავლებიდან რისი აღნიშვნა იქნება აუცილებელი საეკლესიო კალენდრის რეფორმასთან დაკავშირებით?

წმ. იოანე ოქროპირის სწავლებით:

– *საერთო თანხმობის შენარჩუნება პასექის დღესთან დაკავშირებით (რომელიც განაჩინა პირველმა მსოფლიო კრებამ) გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დროთა სწორი ათვლა! (ოქროპირი 1991: 671).*

– *თუნდაც რომ შემცდარიყო ეკლესია პასექის დროის განსაზღვრაში, მაშინაც კი იმდენად საქებარი არ იქნებოდა დროთა ზუსტი დაკვირვება, რამდენადაც განკიცხვის ღირსი განყოფა და განხეთქილება (იქვე, 678).*

– *„მარხვა ამა თუ იმ დროს არ არის საძრახისი, მაგრამ განყოფა ეკლესიისა, ცხოვრება უთანხმოებაში, განხეთქილების შემოტანა და მუდმივად გადახრა საეკლესიო კრებულისაგან ყოველად შეუწყნარებელია და დასაგმობი და თანამდები უმძიმესი სასჯელისა“ (იქვე, 678).*

ამ საკითხთან დაკავშირებით კვლავ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2005 წლის საშობაო ეპისტოლეს მივმართოთ, სადაც ვკითხულობთ: *„ხაზგასმით აღსანიშნავია ისიც, რომ არცერთ წმიდა მამას არც XVI ს-მდე (ანუ ახალი სტილის შემოღებამდე) და არც მის შემდეგ, იულიუსის კალენდრის უნივერსალურობის გამო, მისი შეცვლის აუცილებლობის შესახებ საკითხი არასდროს დაუყენებია“ (ეპისტოლენი 2008: 178).*

წმ. იოანე ოქროპირი ამ სიტუაციიდან გამოსავალს შემდეგში ხედავს: *„ამიტომ ყველამ ერთად ვთხოვოთ ჩვენს ძმებს დაბრუნდნენ ჩვენთან, შეიყვარონ მშვიდობა, თავი დაანებონ უგუნურ სიჯიუტეს და დაუტეონ რა ნაკლებმნიშვნელოვანი, განიმსჭვალონ ამაღლებული და მნიშვნელოვანი აზრებით, გათავისუფლდნენ დღეთა დაკვირვებისაგან, რათა ჩვენ ყველამ ერთსულოვნად, ერთიანი პირით განვაღიდოთ უფალი“ (ოქროპირი 1991: 679).*

5. როგორია კათოლიკური ეკლესიის მესვეურთა პოზიცია კალენდარულ რეფორმასთან დაკავშირებით?

პაპ გრიგორიუსის მიერ კალენდრის რეფორმის საფუძვლად აღებული გაზაფხულის დღელამსწორობის ანუ ბუნობის „ძველთაგანვე მისთვის განწესებულ ადგილზე აღდგენის“ პრინციპი რომ შეუცვლელი და შეუღებელი არ ყოფილა, ნათ-

ლად და ცალსახად ჩანს იმ ფაქტიდანაც, რომ 1963 წლის 4 დეკემბერს კათოლიკური ეკლესიის მიერ ვატიკანის II კრებაზე მიღებულ იქნა „კონსტიტუცია წმიდა ლიტურგიის შესახებ“, რომელსაც ერთვის დამატება – „ვატიკანის წმიდა მსოფლიო კრების დეკლარაცია კალენდრის რეფორმის შესახებ“:

– „ვატიკანის წმიდა მსოფლიო მეორე კრებას ძალზე მნიშვნელოვნად მიაჩნია მრავალთა მიერ გამოთქმული სურვილი, რომელიც ითვალისწინებს აღდგომის დღესასწაულის გარკვეულ კვირა დღეს დაწესებას და მყარი (უძრავი მ.ქ.) კალენდრის შემოღებას. ახალი კალენდრის შემოღებიდან გამომდინარე ყველა შესაძლო შედეგის გათვალისწინების საფუძველზე, კრება განაცხადებს შემდეგს:

1. წმიდა კრება არ არის წინააღმდეგი, რომ აღდგომის დღესასწაული კვირის გარკვეულ დღეს (გარკვეულ კვირა დღეს მ.ქ.) დაწესდეს გრიგორიანულ კალენდარში, თუ თანახმანი არიან ისინი, ვისაც ეს საკითხი ეხება, უპირველეს ყოვლისა, ძმები, რომლებიც სამოციქულო საყდართან ერთობისაგან გამოცალკევებულნი არიან” (ვატიკანის II კრება 2006: 60)*.

აქ უკვე აღარ არის ლაპარაკი გაზაფხულის ბუნობასა და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს შორის გარკვეული და მუდმივი ურთიერთმიმართების შენარჩუნებაზე და ცხადია, რომ თუ აღდგომის მოძრავი დღესასწაული უძრავად იქცევა, მაშინ აღდგომასა და გაზაფხულის ბუნობას შორის დღეს არსებული, გრიგორიანული კალენდრის აპოლოგეტთა მხრიდან არაერთხელ მოხმობილი ასტრონომიული მიმართებებიც საბოლოოდ წაიშლება.

* ვატიკანის II კრება

2006. ვატიკანის II კრება (1962-1965), კონსტიტუციები, დეკრეტები, დეკლარაციები, თბილისი: ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრის გამოცემა.

6. როგორ ნაწილდება სეზონები დედამიწის ეკვატორის ორივე მხარეს და რა კავშირი აქვს მას საეკლესიო დღესასწაულებთან?

როცა დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა ან ზამთარია, სამხრეთ ნახევარსფეროში, შესაბამისად, შემოდგომა, ზამთარი, გაზაფხული და ზაფხულია. ე. ი. როცა 21 მარტს დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში გაზაფხულის დასაწყისია, სამხრეთ ნახევარსფეროში შემოდგომა იწყება! (გუნია 2007: 22-25).

ამდენად, როგორ უნდა აისახოს საეკლესიო კალენდარში დღესასწაულთა თარიღები, მაგალითად, შობისა? როგორ უნდა მოხდეს მისი სეზონებთან დაკავშირება?

აქ ცხადია ერთი რამ; საეკლესიო კალენდრის სეზონებთან დაკავშირება მის გამიწიერებაზე მიუთითებს, რაც მიუღებელია მართლმადიდებლური ცნობიერებისათვის. მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ უდიდეს საეკლესიო დღესასწაულებს სივრცობრივ-გეოგრაფიული მნიშვნელობები კი არა აქვთ შექნილი, არამედ მისტიკურ-სიმბოლური!

კონკრეტულად მაცხოვრის შობისათვის ვიტყვით – ნუთუ შეიძლება ვიფიქროთ, რომ რადგან დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ამ პერიოდისათვის არის დღის ხანგრძლივობის მატება, ხოლო სამხრეთ ნახევარსფეროში კი კლება, ეკვატორს მიღმა აღარ მოქმედებს შობის წმიდა სიმბოლოები?

ასევე მცდარია ის შეხედულებაც, რომლის მიხედვითაც ქრისტიანული პასექი ასტრონომიული გაზაფხულის დღესასწაულად არის მიჩნეული. მართალია, წმიდა

წერილის უწყება ახალი აღთქმის პასეჟის შესახებ გაზაფხულის პირველ თვეზე – ნისანზე მიუთითებს, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ აღდგომა მთელ მსოფლიოში **გაზაფხულზე** უნდა აღინიშნოს, რადგან ეს ეკვატორის ორივე მხარეს სეზონთა სხვაობის გამო შეუძლებელია.

7. ოპონენტები კალენდარული რეფორმის გასამართლებლად ხშირად არაერთ მათემატიკურ თუ ასტრონომიულ „არგუმენტს“ იშველიებენ. ასე, მაგალითად: „იულიუსის კალენდარი“ ყოველ 128 წელიწადში „ჩამორჩება“ „გრიგოლის კალენდარს“ 1 დღით და სხვა. რას ვიტყვით ამის შესახებ?

სიტყვა „ჩამორჩება“ უარყოფით მახასიათებლად მოიაზრება იულიუსის კალენდართან მიმართებაში. ასე განვსაჯოთ: თუ ვიტყვით, ჩამორჩაო საათი, ეს მის გაუმართაობას გულისხმობს, ხოლო იგივე სიტყვა კალენდართან დაკავშირებით მის არასრულყოფილებაზე მეტყველებს. ასეთი ხერხით ხშირად სარგებლობენ ჩვენი ოპონენტები, რაც, **რბილად რომ ვთქვათ, არამართებელია, ხოლო თუ მკაცრ შეფასებას მივცემთ – არამეცნიერულია და უმეცრებასთან არის წილნაყარი.**

ამდენად, პასუხი გავცეთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან შეკითხვას:

– რა კალენდარულ ციკლებს ემყარება იულიუსის კალენდარი და რატომ არის განსხვავება გრიგოლისა და იულიუსის კალენდრებს შორის 13 დღე?

იულიუსის კალენდარს, დროის ათვლის თვალსაზრისით, ოთხი ძირითადი ბუნებრივი, განმეორებადი (პერიოდული) პროცესი უდევს საფუძვლად:

1) დღისა და ღამის მონაცვლეობა, რომელიც განპირობებულია დედამიწის ბრუნვით საკუთარი ღერძის გარშემო. ამ ბრუნვის სიჩქარე ისეთია, რომ 24 საათის განმავლობაში დედამიწა ერთხელ სრულად შემობრუნდება თავისი ღერძის გარშემო.

2) მთვარის ფაზების მონაცვლეობა, რომელიც განპირობებულია მისი მოქცევით დედამიწის გარშემო. დროის შუალედი სავსემთვარობიდან სავსემთვარობამდე, მთვარის სინოდურ თვედ იწოდება და მისი ხანგრძლივობა $T_{\text{სინ}}=29,53059$ დღე-ღამეს შეადგენს.

3) წელიწადის დროთა – სეზონთა მონაცვლეობა, რომლის ხანგრძლივობაც **„ტროპიკული წლის“** ხანგრძლივობის ტოლია და 365 დღე-ღამეს, 5სთ-ს, 48წთ-სა და 46წმ-ს შეადგენს (ანუ $T_{\text{ტრ}}=365,242196$ დღ.). **„ტროპიკული წელიწადი“** არის დროის შუალედი გაზაფხულის ბუნიობის წერტილში მზის ორ მომდევნო გავლას შორის.

4) ვარსკვლავ სირიუსის ხილული მოძრაობის პერიოდი – **„სირიუსის წელი“**, რომლის ხანგრძლივობაც იულიუსის კალენდრით 365 დღე-ღამეს და 6 სთ-ს შეადგენს. აქ აღსანიშნავია ის, რომ გამოჩენილი ავსტრიელი ასტრონომის თეოდორ ოპოლცერის (1841-1886წ.წ.) გამოთვლებით, იგი ზუსტად **365 დღისა და 6სთ-ის** ტოლია (კლიმიშინი 1985: 147).

შენიშვნა: იულიუსის კალენდრის „სირიუსის წელთან“ ($T_{\text{სირ}}=365,25$ დღ.) კავშირს არაერთი წყარო და მკვლევარი მიუთითებს (სამაგიდო...1983: 717; იღუმენი ილია 2000: 41; ზელინსკი 1978: 65; კლიმიშინი 1985: 146-148 და სხვა).

ზემოჩამოთვლილი ოთხი ბუნებრივი განმეორებადი პროცესიდან დროის ბუნებრივ ეტალონად იულიუსის კალენდარში ორი პერიოდული პროცესია მიღებული. პირველი დღე-ღამეა და მეორე „სირიუსის წელი“. დროის ამ ორ ეტალონზე ორიენტირებით ოთხივე ზემოხსენებული ბუნებრივი პროცესი მათემატიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. აქ შევნიშნავთ, რომ მას შემდეგ, რაც შერჩეულია დრო-

ის ბუნებრივი ეტალონები, დროის რაიმე შუალედის გაზომვა ან საზოგადოდ დროის აღრიცხვა ამ ეტალონზე ორიენტირებით ამ ეტალონთან შედარების საფუძველზე აღესრულება.

ამდენად, თუ დროის მეორე ეტალონად იულიუსის კალენდარში „სირიუსის წელი“ მიღებული, გრიგოლის კალენდარში მის ნაცვლად „ტროპიკული წელიწადი“ ფიგურირებს. ამ ორი განსხვავებული დროის ეტალონებით წარმოებულ ათვლებს შორის სხვაობის გასარკვევად აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ აღნიშნული ეტალონები დღე-ღამეთა განსხვავებულ რიცხვს შეიცავენ და მათ შორის **სხვაობა** დაახლოებით **11 წთ-სა და 14,3 წმ-ს** შეადგენს.

ამგვარად, თუ ერთი და იმავე საწყისი მომენტიდან დროის ათვლას დავიწყებთ როგორც „სირიუსის წლით“, ისე „ტროპიკული წლით“, 128 წლის შემდეგ ანუ ამ წლების 128-ჯერ გადაზომვით აღმოჩნდება, რომ 128-ჯერ გადაზომილ „სირიუსის წელიწადს“ (365 დღესა და 6 სთ-ს) 128-ჯერ გადაზომილი „ტროპიკული წელიწადი“ (365 დღე, 5 სთ, 48 წთ და 46 წმ) რომ გაუტოლდეს, უკანასკნელს 1 დღე-ღამე უნდა დაემატოს, რადგან **128-ჯერ 11 წთ. და 14,3 წმ.** (ანუ ის სიდიდე, რითაც აღემატება იულიუსის კალენდრის დროის ეტალონი გრიგოლის კალენდრის დროის ეტალონს) **24 სთ-ს**, იმავე 1 დღე-ღამეს გვაძლევს. ასე გაგრძელდება შემდეგშიც, და ყოველ მომდევნო 128 წელიწადში მათ შორის სხვაობა თითო დღით გაიზრდება.

შენიშვნა: 1582 წელს, მაშინ, როცა კალენდრის რეფორმა მოხდა, 325 წლიდან ანუ ნიკეის I მსოფლიო კრებიდან „სირიუსის წლისა“ და „ტროპიკული წლის“ ეტალონებით ათვლილმა დრომ საკმაო მიახლოებით 10 დღიან სხვაობას მიაღწია. სწორედ აქ იქნა დაშვებული **უდიდესი შეცდომა!** იმის ნაცვლად, რომ იულიუსის კალენდრის თარიღიდან გრიგოლის კალენდრის თარიღზე გადასასვლელად, ანუ მათი **სინქრონიზაციისათვის**, ამ უკანასკნელისათვის 10 დღე დაემატებინათ, ეს 10-დღიანი „სხვაობა“ ჩათვალეს რა ცდომილებად, ძველი სტილის თარიღებს ყოველგვარი დღეების დამატების გარეშე ახალი სტილის თარიღები გაუტოლდეს(!). ასე, მაგალითად: ძვ. სტ.-ით 25 დეკემბერს პირდაპირ ახალი სტილით 25 დეკემბერი შეუსაბამეს. აღნიშნული ცდომილება ყველა უძრავ დღესასწაულს შეეხო, შედეგად კი **ქრისტიანულ სამყაროში ერთი და იგივე დღესასწაულთა აღსრულების ასინქრონულობა, დროში შეუთავსებლობა** მივიღეთ.

8. შეიძლება თუ არა ასტრონომიული გამოთვლების საფუძველზე საპასექო გამოთვლები იერუსალიმის მერიდიანს დაუგუკავშიროთ?

1923 წელს კონსტანტინოპოლში შეკრებილმა მართლმადიდებლურმა ეკლესიებმა მიიღეს იულიუსის კალენდრის შესწორებული პროექტი, რომელიც **აღდგომის დღის** თარიღის დადგენას ძველი სტილით განაჩინებს, ხოლო უძრავ დღესასწაულებს ახალ სტილს უსადაგებს. აღნიშნული კალენდარი ავტოკეფალური ეკლესიების ნაწილმა მიიღო (საქმენი...1949: 396; სამაგიდო...1983: 720).

აღსანიშნავია, რომ ხსენებულ შეკრებაზე, თავდაპირველად, აღდგომის დღის დადგენა საპასექო ციკლების გათვალისწინებით გაუქმებულ იქნა და მისი განსაზღვრა განეჩინა იერუსალიმის მერიდიანის მიხედვით, ასტრონომიული გამოთვლების საფუძველზე.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ეკლესიებისათვის ასტრონომიული მეთოდით პასექის დღის განსაზღვრა მიზანშეუწონელი აღმოჩნდა, და არც იქნა მიღებული იმ მარტივი გარემოების გამო, რომ ამგვარად შედგენილი პასქალია, **2800 წლამდე, „ახალ“ გრიგორიანულ კალენდარს ემთხვეოდა.**

ამგვარად, რადგან, გრიგორიანული კალენდარი და მასთან დაკავშირებული პასქალია მიუღებელი იყო მართლმადიდებლური ეკლესიისათვის, აღნიშნული განჩინება ძალაში არც შესულა (საქმენი...1949: 396).

9. საქართველოს ეკლესიის მე-4 კრება საეკლესიო კალენდრის რეფორმის საკითხს შეეხ. რას გვეტყოდით ამის შესახებ?

დიახ, საქართველოს ეკლესიის მე-4 კრებამ, 1927 წლის 24 ივნისის განჩინებით, საეკლესიო ცხოვრებაში ახალი სტილი – **შერეული კალენდარი** შემოიღო.

ამ საკითხში გარკვევისათვის აუცილებელია ისტორიული გარემოს გათვალისწინება, რომელიც თანმდევი იყო იმ პერიოდისა. 1921-27 წლები უმძიმესი დრო გახლდათ საქართველოს ეკლესიის ისტორიაში. როგორც ცნობილია, იმუამინდელი ხელისუფლება ფართომასშტაბიან რეპრესიებს აწარმოებდა და ბუნებრივია, ძლიერი წნეხის ქვეშ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაც მოექცა. ანგრევდნენ და ძარცვავდნენ ეკლესიებს, სასულიერო პირებს ძალით ათქმევინებდნენ უარს ღვთისმსახურებაზე. ამ ვითარებაში მორწმუნენი შიშით შეჰყურებდნენ ახალგაზრდა კომკავშირელების მიერ წამოწყებულ საზარელ საქმეებს, ტაძრების შებილწვას, კომკავშირული „შობისა“ და „აღდგომის“ დღესასწაულების „ჩატარებას“ და სხვა (ვარდოსანიძე 2000: 73).

როგორც ეკლესიის ისტორიის ერთ-ერთი მკვლევარი გვაუწყებს, საქართველოს პროვინციებში ე.წ. „სასამართლო პროცესები“ დაიწყო, სადაც ბრალმდებლად მუშათა კლასისა და გლეხობის წარმომადგენლები გამოდიოდნენ, „ბრალდებულად“ კი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახურნი. ასეთი „სასამართლოების“ განახებით 1923 წლის 9 თებერვალს, ონში დაგმობილ იქნა რელიგია, როგორც „ხალხის მტერი“. ასეთივე ღონისძიებები მოეწყო ქუთაისში 1923 წლის თებერვალში. სასამართლოს გადაწყვეტილებით „დამნაშავეებად სცნეს“ წმ. მოწამე დავით და კონსტანტინეს ნეშტები (ვარდოსანიძე 2000: 53). ამაზე დიდი მკრეხელობა განა რა შეიძლება იყოს. ასეთი დიდი ზეწოლა იყო მაშინ სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიაზე.

სხვა ფაქტებსაც გავიხსენებთ. 1923 წლის 12 იანვარს საქართველოს სსრ საგანგებო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის **საკათალიკოსო საბჭოს** წევრების დაპატიმრების შესახებ. იმავე დღეს დაპატიმრებულ იქნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოსპატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი **წმიდა ამბროსი ხელაია**, მიტროპოლიტი ქუთათელი **წმიდა ნაზარი ლეჟავა**, ქაშვეთის ეკლესიის წინამძღვარი კალისტრატე ცინცაძე, დიდუბის ეკლესიის დეკანოზი იოსებ მირიანაშვილი და მრავალი სხვა (ვარდოსანიძე 2000: 45), ხოლო 1923 წლის 7 ივლისის **ცმპ**-ის საიდუმლო განკარგულებით საქართველოს კათოლიკოსპატრიარქის რეზიდენცია ქ. თბილისის საბინაო განყოფილებას გადაეცა (ვარდოსანიძე 2001: 9).

ამდენად, ვფიქრობთ ჩვენს მიერ მოხმობილი მცირედი მასალიდანაც ცხადია, თუ როგორ ერეოდა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობაში, და როგორ ზეგავლენას ახდენდა იმდროინდელი ხელისუფლება ეკლესიაზე.

ამგვარად, საქართველოს ეკლესიის მე-4 კრების ზემოხსენებული დადგენილებაზე საუბრისას უცილობლად უნდა გავითვალისწინოთ:

1) თანმდევი ისტორიული გარემო და უმძაფრესი ზეწოლა ეკლესიაზე;

2) ის, რომ ხსენებულმა დადგენილებამ მორწმუნე ერში დიდი მღელვარება გამოიწვია. ამის გამო 1928 წლის 28 სექტემბერს საკათალიკოსო სინოდი კვლავ დაუბრუნდა ახალი სტილის საკითხს და განაჩინა: – 1928 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოს ეკლესიაში ღვთისმსახურება კვლავ ძველი სტილით, იულიუსის კალენდრით აღსრულებულიყო! (ვარდოსანიძე 2000: 49).

ლენები – დღე-ღამისა და სეზონთა მონაცვლეობაა. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება მჭიდროდაა დაკავშირებული მზესთან. პლანეტაზე, წელიწადის დროთა შესაბამისად, ამინდი ცვალებადობს, მათთან კი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები დაკავშირებული. ამიტომ კალენდარი, რომელიც აგებული იქნება ამ პერიოდულ მოვლენებზე, ყველაზე მოსახერხებელია ჩვენთვის“ (ბიალკო 1983: 47).

ამგვარად, როგორც მოყვანილი ციტატიდან ირკვევა, კალენდარული სისტემის მოდელირებისათვის მავანთათვის უმთავრესი ამოსავალი წერტილი ამინდის ცვალებადობა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ყოფილა. მაშინ რაღა ვთქვათ „საპასექო წელიწადზე“, მის ცვალებად „ამპლიტუდაზე“, მასთან დაკავშირებულ რიგით სახარებათა განწესზე, რომელთა საწყისად აღდგომის დღესასწაულია მიჩნეული, და რომელთა კითხვაც ყოველდღიურად აღესრულება ლიტურგიაზე? ან „საეკლესიო წელიწადზე“, რომლის დასაწყისიც სწავლებითად ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულებას უკავშირდება? (შრომები 2009: 40-46). როგორ შევუსაბამოთ კვირის შეიდეულების კვირა-დღითა და ორშაბათით დაწყების საღვთისმეტყველო სწავლება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს? ან კი, რა საერთო აქვს ამქვეყნიურ მიწიერ საზრუნავს სულიერ ცხოვრებასთან, მარადიულ ღირებულებებთან, რომლის წარმოჩენასაც ემსახურება საეკლესიო კალენდარი?

იმავე საკითხზე განსხვავებული ხედვა უადრესად ნათლადაა წარმოჩენილი წმ. იოანე ოქროპირის სწავლებაში. მისი შეგონებით:

– „საოცარია მართლმადიდებელთა დღესასწაულები, საზეიმოა მოწამეთა ხსენება, კეთილსახიერია (მორწმუნეთა – დ. ბ.გ.) განკრძალული სიხარული! არა თუ ცვალებად ჟამს ვზეიმობთ, არც წელიწადს ვეთაყვანებით, ... არ ვმსახურებთ დროს, რადგან იგი წარმავალია, არც დღეს ვცემთ თაყვანს, როგორც კანონზომიერებას დაქვემდებარებულს. ყველაფერი ძველდება ჟამთა მსვლელო-ბით და დროც მათთან ერთად; ... ჩვენ კი ღვთაებრივ, ღიად მოვლენებს – მოწამეთა ღვაწლს, დაფლულთა (ამა ქვეყნიდან განსრულთა – დ. ბ.გ.) გამარჯვებას ვზეიმობთ, ... უპირატესად კი იესო ქრისტეს სასწაულებს, ... მერე კი მის რჩეულთა ღვაწლს“ (ოქროპირი 2002: 857-858). „...თანამეკვიდრობთ ზეციურ სამყაროში, სადაც არც თვეები სათვალავია, არც მზი და არც მთვარე, და არც წლიური წრებრუნვა“ (ოქროპირი 1991: 675).

ვფიქრობთ, რომ საეკლესიო კალენდართან მიმართებაში, უცილობლად, სულიერი სწავლება უნდა გავითვალისწინოთ, რაც მავანთათვის ალბათ მნიშვნელოვანი არც არის.

დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები:

- ბიალკო 1983: Бялко А. Наша планета - ЗЕМЛЯ. Библиотечка КВАНТ, выпуск 29. Москва: издательство „Наука“, 1983.
- ბუტკევიჩი...1984: Буткевич А.В. Зеликсон М.С. ВЕЧНЫЕ КАЛЕНДАРИ. Москва: издательство „Наука“, издание 2-ое, 1984.
- გუნია 2007: გუნია ბ. იულიუსის კალენდრის საკითხისათვის. თბილისი: გელათის მეცნიერებათა აკადემია, 2007.
- ეპისტოლენი 2008: სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II. ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი - წიგნი III. თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2008.
- ვარდოსანიძე 2000: ვარდოსანიძე ს. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-27 წლებში. თბილისი: გამომცემლობა „ქრონოგრაფი“, 2000.

- ვარდოსანიძე 2001:** ვარდოსანიძე ს. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1927-52 წლებში. თბილისი: გამომცემლობა „ქრონოგრაფი“, 2001.
- ზელინსკი 1978:** Зелинский А. Конструктивные принципы древнерусского календаря. КОНТЕКСТ . 1978. Литературно-теоретические исследования Института мировой литературы им. А. М. Горького Академии наук СССР, выпуск 7, Москва 1978.
- ინტერაქტივი 2011:** ინტერაქტივი, რუსთავი II-ის გადაცემა „შუა დღეში“. პირდაპირი ეთერი - 19 დეკემბერი 2011წ. (13:39-13:48; 14:00-14:28)სთ.
- იღუმენი ილია 2000:** Игумен Илия (Жуков). ПАСХА И ПАСХАЛИЯ. Санкт-Петербург: Издательство „Виктора Немтинова“, 2000.
- კლიმიშინი 1985:** Климишин Н. Календарь и хронология. Москва: издательство „Наука“, издание 2-ое, 1985.
- კრებები 1996:** Деяния Вселенских Соборов, т. 1. Санкт-Петербург: Издательство „Воскресенье“, 1996.
- კრებული 1928:** სრულიად საქართველოს საკათალიკოსო სინოდის უწყებათა კრებული. ტფილისი: 1928.
- ოქროპირი 1991:** Св. Иоанн Златоуст. Творения т. 1, книга 2-я. С.- Петербург: издание С.- Петербургской Духовной Академии, 1991.
- ოქროპირი 2000:** Св. Иоанн Златоуст. Творения т. 7, книга 2-я. С.- Петербург: издание С.- Петербургской Духовной Академии, 2000.
- ოქროპირი 2002:** Св. Иоанн Златоуст. Творения т. 8, книга 2-я. Москва: издательство „Радонеж“ Православное братство, 2002.
- „საბა“ 2001:** გაზეთი „საბა“. ქართულენოვანი კათოლიკური გაზეთი. თბილისი: ივნისი, 2001.
- სამაგიდო....1983:** Настольная книга Священнослужителя, т.IV. Москва: издание Московской Патриархии, 1983.
- სამაგიდო....1983:** Настольная книга Священнослужителя, т.IV. Москва: издание Московской Патриархии, 1983.
- საქმენი...1949:** Деяния Соещания глав и представителей автокефальных Православных Церквей в связи с празднованием 500 летия автокефалии Русской Православной Церкви. Москва: издание Московского Патриархата, 1949.
- შრომები 2009:** თბილისის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო შრომები I. თბილისი: 2009.

P.S. კალენდარულ საკითხებთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას მოიძიებთ „ლიტურგიკულ შტუდიებში“ III (დეკანოზი ბიძინა გუნია - თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ლიტურგიკისა და სამოძღვრო ღვთისმეტყველების კათედრის შრომები – თბილისი: 2012წ.)